ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: რუსეთისმცოდნეობა / Russian Studies

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: რუსეთისმცოდნეობის მაგისტრი / Master of Arts in Russian Studies

სპეციალობა: რუსეთისმცოდნეობა / Russian Studies

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: ოთხი სემესტრი (120 კრედიტი). სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 60 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები; 30 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები; 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი;

სწავლების ენა: ქართული ენა. საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტების შეთავაზება მოხდება რუსულ ენაზე.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა რუსეთისმცოდნეობის დარგში, მოამზადოს ის როგორც მკვლევარი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში; პროგრამის მიზანია, საზოგადოებისათვის კონკურენტუნარიანი, სათანადო ცოდნითა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ–ჩვევებით აღჭურვილი კადრის შეთავაზება, რომელიც შეძლებს რუსეთის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე მუშაობას. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად რუსეთისმცოდნეობის სფეროში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი რუსეთისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს მაგისტრანტებისათვის მათი სამომავლო კარიერისა და ინტელექტუალური ზრდის თვალსაზრისით; განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი განაგრძობენ მოღვაწეობას საერთაშორისო სამართლისა და სოციალური მეცნიერებების სფეროში ან დიპლომატიურ სარბიელზე.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლას გააგრძელებენ როგორც მონოდარგობრივი, ისე ინტერდისციპლინური პროგრამების კურსდამთავრებულები. სწავლება მაგისტრატურაში წარიმართება მულტიდისციპლინურიდან ინტერდისციპლინური პროგრამის მიმართულებით – დისციპლინების პარალელური სწავლების გზით; შესწავლილი სასწავლო კურსები შეავსებს ერთმანეთს შესაბამის პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ გარემოში.

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამასთან. ეს უზრუნველყოფს რუსეთისმცოდნეობის სფეროსათვის აუცილებელი მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ცოდნის მიღებას.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, სადაც რუსეთის ისტორია და რუსეთ–საქართველოს ურთიერთობების კვლევა მნიშვნელოვანი სამეცნიერო სფეროა. რუსეთთან მეზობლობა და მჭიდრო ისტორიული ურთიერთობა განაპირობებს რუსეთისმცოდნეობის და ქართველოლოგიური სკოლის საერთო კვლევით პრობლემატიკას. პროგრამა ითვალისწინებს რუსეთისმცოდნეობის დარგში კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო სლავისტიკის სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე მატულობს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესი რუსეთის მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნის როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსეთისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, ინტერდისციპლინური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი;
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა რუსეთის ისტორიასა და სამართალში.

(საგამოცდო საკითხები შესაბამის ლიტერატურასთან ერთად წარმოდგენილია - **დანართი #5**).

სწავლის შედეგი:

- **ცოდნა-გაცნობიერება:** სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე მაგისტრს რუსეთისმცოდნეობის სფეროში ექნება უახლესი

თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავების და კვლევის კონტექსტში მისი გამოყენების, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას მისცემს; შეძლებს მუშაობას საკითხებზე, რომლების ეხება რუსეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს; გააცნობიერებს რუსეთისმცოდნეობის მიმართულებისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეძლებს ეთიკური დილემების გადაჭრას; დაეუფლება ამ სფეროში მუშაობის სპეციფიკურ მეთოდებს.

მაგისტრს გაცნობიერებული აქვს დარგის ინტერდისციპლინურობა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია რუსულ ენას და ერთ-ერთ სხვა ევროპულ ენასაც B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.

1.1	- რუსეთის ისტორიისა და კულტურის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების საბაზისო ცოდნა. - სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური და კულტურული პროცესების ურთიერთკავშირში აღქმა; – დარგში არსებული თეორიებისა და კონკრეტული კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი. – პრობლემათა შედარებითი მეთოდით შესწავლის პრინციპების დაუფლება.	რუსეთის ისტორია და კულტურა მსოფლიო ცივილიზაციათა კონტექსტში (სავალდებულო) ევროპელები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ (მე-18 – 21-ე საუკუნეები) (სავალდებულო)
1.2	– რუსეთის პოლიტიკის და იდეოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ამ პრობლემატიკის შესწავლის დროს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, – პოსტსაბჭოთა პერიოდის ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება; – რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციების არსის გაცნობიერება და მათი კრიტიკული განხილვა განსაკუთრებით საქართველოსა და კავკასიასთან მიმართებაში. – კავკასიის პოსტ-საბჭოთა პერიოდის კონფლიქტებში ორიენტირება. – კონფლიქტურ პროცესებში პოლიტიკური ლიდერების როლის გაცნობიერება.	რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა (სავალდებულო) კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები(არჩევითი) საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია (არჩევითი) თანამედროვე რუსეთის პოლიტიკა (არჩევითი)
1.3	– რუსეთის სამართლის, სამართლებრივი აზრის ისტორიისა და	რუსეთის სამართლის, სამართლებრივი აზრის

	თანამედროვე რუსეთის კონსტიტუციური სამართლის ყველა ძირითადი ინსტიტუტის შესწავლა. – მოცემულ დისციპლინასთან დაკავშირებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, რაც საშუალებას მისცემს განახორციელოს ღრმა და საფუძვლიანი კვლევა.	ისტორია და თანამედროვე რფ–ის კონსტიტუციური სამართალი (სავალდებულო)
1.4	– ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასებების ჩამოყალიბება; – ეკონომიკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრა და დაკავშირება; – ეკონომიკის განვითარების პროორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა; – ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად სავარაუდოდ მისაღები ეფექტების განსაზღვრა, შედარება და პრიორიტეტების მიხედვით კლასიფიცირება. – გლობალიზაციის პირობებში ეროვნული სახელმწიფოს ახალი როლის გააზრება; – ეკონომიკის გლობალიზაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებების შესწავლა.	რუსეთის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა (სავალდებულო); გლობალიზაცია და რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკა (არჩევითი) რუსეთის ეკონომიკა (არჩევითი) რუსეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (არჩევითი)
1.5	– XIX-XX საუკუნეების რუსული ფილოსოფიური სკოლის განვითარების ძირითად ეტაპებზე და ასპექტებზე, მის ძირითად პრინციპებსა და პოსტულატებზე ცოდნის შეძენა; – ადამიანის ფილოსოფიური პრობლემის, რუსული კულტურისა და რუსული იდენტობის ღრმა გააზრება და შესაბამისი უნარ–ჩვევების გამომუშავება. – რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების საბაზისო ცოდნა.	რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა (სავალდებულო) რუსული ფილოსოფია (არჩევითი)
1.6	– რუსეთის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ საბაზისო ცოდნა; – რუსეთის საგარეო ვაჭრობის რეგულირების ძირითადი პრინციპების შესახებ;	რუსეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (არჩევითი)

	- რუსეთის კონკურენტული უპირატესობების გაცნობიერება; ცოდნა რუსეთის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის შემადგენელი კომპონენტების შესახებ; - ინტეგრაციულ დაჯგუფებებში რუსეთის მონაწილეობის შესახებ საბაზისო ცოდნა; - საერთაშორისო სამეცნიერ–კვლევით და საწარმოო თანამშრომლობაში, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციასა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში რუსეთის ინტეგრირების შესახებ ინფორმაციის ფლობა.	
1.7	– რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთერთობების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების საბაზისო ცოდნა. – ამ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური და კულტურული პროცესების ურთიერთკავშირში აღქმა; – ევროპელთა შეფასებები ამ ქვეყნების ურთიერთობების შესახებ;	ევროპელები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ (მე-18 – 21-ე საუკუნეები) (სავალდებულო)
	მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) 1, 2

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:** მაგისტრი რუსეთისმცოდნეობის სფეროში კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს კვლევას სამეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებით, იმუშავებს აგრეთვე დამოუკიდებლად; შეძლებს კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას დამოუკიდებლად დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; შეძლებს ამოცანების დაგეგმვას და განხორციელებას დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე.

მაგისტრს შეუძლია ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება. წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. დაუფლებულია დარგის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე. აქვს ემპირიული მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი; შეუძლია საკვლევი საკითხის მკაფიო იდენტიფიცირება.

2.1	– ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ევროპულ ენაზე; – რუსეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ საკითხებზე დისკუსიაში მონაწილეობა, აზრის მკაფიოდ და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება; – რუსული და სხვა უცხონოვანი ლიტერატურის მოძიება, დამუშავება, ინფორმაციის შეჯერება და შეძენილი ცოდნის პრეზენტაცია; – უცხოური ლიტერატურისა და წყაროების გამოყენების უნარი.	რუსეთის ისტორია და კულტურა მსოფლიო ცივილიზაციათა კონტექსტში (სავალდებულო) ევროპელები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ (მე-18 – 21-ე საუკუნეები) (სავალდებულო)
2.2	– რუსული და საერთოდ, რელიგიურ–ფილოსოფიური ტექსტების გაგებისა და ინტერპრეტაციის უნარ–ჩვევები, – საკუთარი პოზიციის განსაზღვრისა და რელიგიურ ფილოსოფიაში საკუთარი ხედვის ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის უნარი. – საკუთარი მოსაზრებების დისკუსია/დებატებში გამოთქმა, სადისკუსიო თემებზე ჯგუფური პრეზენტაციების წარმოდგენა.	რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა (სავალდებულო) რუსული ფილოსოფია (არჩევითი)
2.3	– საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსეთის პოლიტიკისა და იდეოლოგიის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; – რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციების კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.	რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა (სავალდებულო) კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები(არჩევითი) საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია (არჩევითი) თანამედროვე რუსეთის პოლიტიკა (არჩევითი)
2.4	– ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებების მიზეზების, მასზე მოქმედ ფაქტორთა ზემოქმედების ახსნის უნარი, ალტერნატიული პოლიტიკის განხორციელების	ეკონომიკური პოლიტიკა (სავალდებულო); გლობალიზაცია და რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკა (არჩევითი)

	შესაძლებლობების დანახვის უნარი, გავლენის რაოდენობრივი ცვლილებების გამოთვლის უნარი. - რუსეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის დეტერმინანტების განსაზღვრა; - საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიკაცია და ამ ფაქტორების ეკონომიკაზე ზემოქმედების გაანალიზება; - რუსეთის ეკონომიკური გახსნილობის დონის დადგენა შემენილი ცოდნის საფუძველზე. - რუსეთის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შესახებ საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება; - რუსეთის ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების (პოტენციალის) იდენტიფიკაცია. - ეკონომიკის გლობალიზაციის კანონზომიერებათა გათვალისწინება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში;	რუსეთის ეკონომიკა (არჩევითი) რუსეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (არჩევითი)
2.5	– ძველი და თანამედროვე რუსული სამართალგანვითარების, სამართლებრივი აზრის ევოლუციის შესახებ საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება; – აღნიშნული საკითხების ირგვლივ წამოჭრილი პრობლემებისა და მათი გადაწყვეტისას დამატებითი რესურსების (რუსული სამართლის ისტორიის, სამართლებრივი აზრის ისტორიის წერილობითი და ზეპირსიტყვიერების სხვა ძეგლები, ასევე, თანამედროვე რუსეთის სამართლის აქტები) გამოყენება. – პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება სხვადასხვა ისტორიული პერიოდების რუსული სამართლის ისტორიის წყაროების, ცალკეულ მოაზროვნეთა იდეური მემკვიდრეობის შესწავლა-გაანალიზების პროცესში; – რუსეთის სამართლის ისტორიის, სამართლებრივი აზრის	რუსეთის სამართლის, სამართლებრივი აზრის ისტორია და თანამედროვე რფ–ის კონსტიტუციური სამართალი (სავალდებულო)

	ისტორიისა და თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის სფეროში დაგროვილი ცოდნის გამოყენება მომიჯნავე მეცნიერებების: ისტორიის, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის უკეთ შესასწავლად.	
	მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) 1, 2

- **დასკვნის უნარი:** მაგისტრს შეუძლია რუსეთთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების ინტერპრეტირება ეროვნულ, რეგიონალურ და მსოფლიო კონტექსტში; რუსეთის პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი, პრობლემების განხილვა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივით და მკვეთრად არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა. უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

მაგისტრს აქვს სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.

- **კომუნიკაციის უნარი:** მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, კომუნიკაცია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში; შეუძლია შეუფერხებელი საუბარი და დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

მაგისტრს აქვს საინფორმაციო კომუნიკაციების გამოყენების უნარი. შეუძლია კომპიუტერული და ინტერნეტ–რესურსების ფლობა მონაცემების დამუშავებისას. აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების უნარი.

- **სწავლის უნარი:** მაგისტრს აქვს სხვადასხვა დისციპლინების (რუსეთის ისტორია, რუსული ფილოსოფია, რუსეთის ეკონომიკა, რუსული სამართალი და ა.შ. მეთოდოლოგიის ინტეგრირებულად გამოყენების უნარი. შეუძლია ინტერდისციპლინურ საკითხებზე მუშაობა; დარგის მულტიდისციპლინურობისა და დისციპლინებს შორის კავშირების აღქმა. აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება.
- **ღირებულებები:** რუსეთისმცოდნეობის სფეროში დაგროვილი ცოდნა მაგისტრს უყალიბებს წარმოდგენას ღირებულებათა რაობისა და მნიშვნელობის, აგრეთვე მათი მრავალფეროვნების, დამკვიდრების გზებისა და მეთოდების შესახებ. მაგისტრი ორიენტირებულია საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტებზე, იზიარებს და ეცნობა დასავლეთის აკადემიურ გამოცდილებას, ნერგავს ამ ღირებულებებს მშობლიურ გარემოში. მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.

მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, საშინაო დავალების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს რეგიონმცოდნეობის, კონკრეტულად კი, აღმოსავლეთ ევროპის ან რუსეთის პრობლემატიკის შესწავლით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში.

როგორც ექსპერტი, იგი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს რეგიონული კონფლიქტების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული და სხვა საფუძვლებისა და მათი მოგვარების გზების ანალიზს. რუსეთისმცოდნეობის მაგისტრის ხარისხის მქონეს, გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, შეუძლია სწავლის გაგრძელება დოქტორანტურის საფეხურზე სხვადასხვა მიმართულებით (მაგ.: რუსეთისმცოდნეობა, აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, რეგიონული კვლევები, პოლიტიკური მეცნიერებები და ა.შ.).

სასწავლო გეგმა: იხ. **დანართი № 1.**

სილაბუსები: თან ერთვის **(დანართი #2).**

პროგრამის ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი დალი კანდელაკი

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამას ახორციელებს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროგრამა დამტკიცებულია ფაკულტეტისა და თსუ აკად. საბჭოებზე, პროგრამაში ჩართული პროფესურა კონკურსის გზით არჩეული თსუ აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის მიერ მოწვეული მაღალკვალიფიციური ლექტორები არიან და პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია ფაკულტეტების ბიუჯეტით.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: პროგრამაში ჩართული პერსონალის – დ. კანდელაკი, ბ. ჯავახია, დ. გოცირიძე, ნ. ფორაქიშვილი, მ. თუხარელი, ნ. ჩიქოვანი, ი. წერეთელი, ი. ჩხაიძე, მ. გარიშვილი, მ. მაცაბერიძე, რ. გველესიანი, პ. კოღუაშვილი, ნ. პაპაჩაშვილი, ი. ბრაჭული, ალ. კუხიანიძე, დ. მაცაბერიძე - ბიოგრაფიები თან ერთვის **(დანართი #3).**

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: სტუდენტთა განკარგულებაშია თსუ-ს აუდიტორიები, ბიბლიოთეკები, რესურს-ცენტრები. პროგრამის სასწავლო კომპონენტი განხორციელდება თსუ-ში, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - ამავე უნივერსიტეტის, საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ბიბლიოთეკების, სამეცნიერო-კვლევითი და სამთავრობო დაწესებულებების ბაზაზე. თსუ-ს და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში შესაძლებელია მაგისტრანტების სამეცნიერო მივლინება 2 კვირით გერმანიაში.